ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1523821

ნომერი: AR1254377

თარიღი : 30.09.2014

გაცემის თარიღი : 03.10.2014

გაცნობის თარიღი : 04.10.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჭირნახული , N 4 (ნაკვ.04/028) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბესიკ ბეჟაშვილი პ/ნ 01010002963
- თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 179 ბ. 10

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი განცხადება, რომლითაც ითხოვთ შ.პ.ს „ჯეომილ“–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე 60 კვ.მ.-მდე დამხმარე შენობა-ნაგებობის მშენებლობაზე წერილობითი თანხმობის გაცემას. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიის ნაწილზე ვრცელდება დროებითი შეზღუდვა: „საქართველოს საავტომობილო გზების რიგ მონაკვეთებზე რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის (მშენებლობის) სამუშაოების განხორციელების მიზნით, ზოგიერთ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ 2009 წლის 18 თებერვლის #104 (ცვლილება 25.04.2013წ. #340) საქართველოს მთავრობის განკარგულების მიხედვით. 2009-2011 წლიდან დაგეგმილია გზების მონაკვეთების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამუშაოები, მათ შორის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის გორი-სამტრედიის მონაკვეთის, თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზის თბილისი-საგარეჯოს მონაკვეთის, თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის თბილისი-რუსთავის მონაკვეთებისა და ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის საავტომობილო გზის ფონიჭალა-მარნეულის მონაკვეთის. ზემოაღნიშნულ საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციით გათვალისწინებულ მონაკვეთებზე საპროექტო გადაწყვეტილებებით დაგეგმილი სამუშაოების დასრულებამდე შეჩერებული იქნა გზის ღერძიდან 100 მეტრიან ზოლში მიწების გასხვისება ან გზისპირა ინფრასტრუქტურის ობიექტების განთავსებაზე ნებართვების გაცემა. გამომდინარე აქედან, ზემოაღნიშნული შეზღუდვის მოხსნამდე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა 60 კვ.მ.-მდე დამხმარე შენობა-ნაგებობის მშენებლობაზე, შესაძლებელია შენობის მშენებლობა განხორციელდეს შეზღუდვისგან თავისუფალ ტერიტორიაზე (იხ. დანართი), აღნიშნულზე კი ახალი განცხადების ატვირთვის შემთხვევაში სამსახური იმსჯელებს ახალი მოთხოვნის ფარგლებში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.